სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ოქმი №7

ქ. თბილისი **2015 წლის 30 დეკემბერი**

სხდომას ესწრებოდნენ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები: 1. შაბურიშვილი შოთა 2. 2. თოდუა ნუგზარი 3. მექვაბიშვილი ელგუჯა 4. აბესაძე ნინო 5. გოგინავა უშანგი 6. ხომერიკი რამაზი 7. თუთბერიძე ბეჟანი 8. მაჭავარიანი ლია 9. გეგეჭკორი არნოლდი 10. ხაჩიძე მანანა 11. ბახტურიძე პაატა 12. თუმანიშვილი გიორგი 13. კვირიკაშვილი ბახვა 14. კუპრაძე ირაკლი 15. იმნაძე პაატა 16. მარგველაშვილი ვლადიმერი 17. ოკრიბელაშვილი ნინო 18. წერეთელი მარი 19. შამილიშვილი მანანა 20. ლორთქიფანიძე ლევანი 21. საბაური შალვა 22. ჟვანია ირინე 23. ჩახუნაშვილი ნინო 24. ლორია კახაბერი 25. გორდეზიანი ლევანი 26. გელოვანი ნანი 27. თაბუაშვილი აპოლონი 28. ოთხმეზური გიორგი 29. პაიჭაძე თამარი 30. სამხარაძე ლაშა 31. გაიპარაშვილი ზურაბი (დანართი 1)

სხდომაზე დამსწრე აკადემიური საბჭოს წევრები: 1. პაპავა ვლადიმერი (რექტორი) 2. ქურდაძე რამაზი 3. გერსამია მარიამი 4. გალდავა გიორგი 5. სურგულაძე ნუგზარი 6. სამსონია შოთა 7. ომანაძე როლანდი 8. სილაგაძე ავთანდილი 9. მარშავა ქეთევანი 10. ჭკუასელი ქეთევანი 11. აბაშიძე თამარი (დანართი 2)

დღის წესრიგი:

1. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცება
2. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მფლობელობაში არსებული უძრავი ქონების ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ დროებით სარგებლობაში გაცემაზე თანხმობის საკითხი
3. „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიისა და ბიზნეს ინკუბატორის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2015 წლის 28 დეკემბრის №135/2014 დადგენილების დამტკიცება
4. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებლის მოწყობის მიზნით სამუშაოების დაგეგმვის დროებით სამუშაო ჯგუფში წარმომადგენლების შერჩევა

5. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მე-8 სასწავლო კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე კომუნიკაციის მოწყობა-რეგისტრაციის მიზნით გათხრითი სამუშაოების საწარმოებლად თანხმობის გაცემა

6. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქონების იჯარით გაცემა

7. ,,სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ" აკადემიური საბჭოს 2014 წლის 22 დეკემბრის №118/2014 დადგენილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2015 წლის 28 დეკემბრის №134/2015 დადგენილების დამტკიცება

8. სხვადასხვა

დღის წესრიგი დამტკიცდა ერთხმად.

1. საფინანსო დეპარტამენტის უფროსმა, ბატონმა ირაკლი საღარეიშვილმა წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის მონაწილეებს გააცნო უნივერსიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის პროექტი. მისი განცხადებით, 2016 წლის ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი, მოსალოდნელი ნაშთის, სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და საერთაშორისო გრანტებიდან, ასევე ეკონომიკური საქმიანობით მისაღები შემოსავლებიდან განისაზღვრა 83 599 954 ლარით. ნაერთი ბიუჯეტის გადასახდელები შედგება: ა) სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი პროგრამების ფარგლებში, სწავლის საფასურისა და კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლებით გასაწევი, ბ) სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობის ფარგლებში, შემოერთებული სამეცნიერო კლევითი ინსტიტუტებისა და ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის გასაწევი, გ) სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების ,,სახელმწიფო სტიპენდია სტუდენტებს" ფარგლებში გასაწევი, დ) სახელმწიფო ბიუჯეტიდან საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების ფარგლებში გასაწევი და ე) ეროვნული სამეცნიერო ფონდის და საერთაშორისო გრანტების ფარგლებში გასაწევი ხარჯების ჯამისაგან. ფაკულტეტების მიხედვით გასაწევი ხარჯების პროექტები შეთანხმებულია ყველა ფაკულტეტის საბჭოსთან. ამდენად, ნაერთი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი განისაზღვრა სულ 83 580 554 ლარით.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერმა, ბატონმა კახაბერ ლორიამ განაცხადა, რომ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს რამდენიმე დღით ადრე, 26 დეკემბერს ჰქონდათ შესაძლებლობა ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ერთად დეტალურად განეხილათ ბიუჯეტის პროექტი.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი, ბატონი ლევან ლორთქიფანიძე დაინტერესდა, თუ როგორია ფაკულტეტებისა და ცენტრალური ადმინისტრაციისთვის გამოყოფილი თანხების პროპორცია ბიუჯეტში, ასევე, რატომაა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტისთვის მისი შემოსავლის მხოლოდ 46,5% გათვალისწინებული.

ბატონი ირაკლი საღარეიშვილის განმარტებით, ფაკულტეტის ბიუჯეტი პირობითი ცნებაა, არსებობს მხოლოდ ერთი, უნივერსიტეტის ბიუჯეტი. ფაკულტეტთათვის გამოყოფილი თანხის 80-90% კი ხელფასებზეა გათვლილი. რაც შეეხება სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტისთვის განკუთვნილ თანხას, მისი ოდენობა ფაკულტეტიდან ახალი ფაკულტეტის გამოყოფას უკავშირდება. შემდეგ წლებში, სავარაუდოდ დაფინანსება გაიზრდება.

აკადემიური საბჭოს წევრი, ქალბატონი ქეთევან მარშავა დაინტერესდა, ითვალისწინებს თუ არა ბიუჯეტის პროექტი მაღლივი კორპუსის რაიმე სახის რემონტს მაინც. მისი განცხადებით, აუცილებელია ბიუჯეტში აისახოს უნივერსიტეტის სტამბის გაფართოების ხარჯები, ვინაიდან არსებულ პირობებში სტამბა ძალზე გადატვირთულია და ვერ აკმაყოფილებს საუნივერსიტეტო მოთხოვნებს.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, ბატონმა დავით ჩომახიძემ აღნიშნა, რომ სტამბის გაფართოებაზე მუშაობა ყოველწლიურად მიმდინარეობს. 2015 წელს შეძენილ იქნა დამატებითი აპარატურა, რომელიც მუშაობას უფრო გააიოლებს. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ გამოყო თანხა უნივერსიტეტის სხვადასხვა კორპუსის რემონტისთვის. მაღლივ კორპუსში გაკეთდება გათბობის ახალი სისტემა, ასევე განხორციელდება გარკვეული სარემონტო სამუშაოები. გათბობა გამოიცვლება მეორე კორპუსშიც. სამინისტროსგან მივიღეთ პირობა, რომ მეორე კორპუსში ფანჯრების გამოცვლასა და ფასადის სარემონტო სამუშაოებზეც გამოყოფს თანხას.

აკადემიური საბჭოს წევრმა, ქალბატონმა მარიამ გერსამიამ ყურადღება გაამახვილა უნივერსიტეტის დამლაგებელთა ხელფასებზე და განაცხადა, რომ მიუხედავად ქვეყანაში არსებული მძიმე ეკონომიკური პირობებისა და უნივერსიტეტის არაშემოსავლიანი ბიუჯეტისა, იქნებ მოხერხდეს დამლაგებელთა ხელფასების მინიმუმ 50 ლარით გაზრდა მაინც, რადგან ისინი მიზერულ ხელფასებზე მუშაობენ და ეს მცირედიც მათთვის გარკვეული სარგებელი იქნება.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, ბატონმა დავით ჩომახიძემ აღნიშნულთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ბოლო ხუთ წელიწადში გაორმაგდა დამლაგებლების ხელფასი, თუმცა ეს სასურველისგან ნამდვილად შორსაა. ანალოგიური მდგომარეობაა დაცვის თანამშრომლების ხელფასებზეც. სამწუხაროდ, ჯერჯერობით ხელფასის ზრდის პერსპექტივა არ არსებობს.

საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა, ბატონებმა - ირაკლი კუპრაძემ, აპოლონ თაბუაშვილმა, მანანა ხაჩიძემ და ლევან

გორდეზიანმა, აკადემიური საბჭოს წევრმა, ბატონმა ავთანდილ სილაგაძემ და რექტორმა, ბატონმა ვლადიმერ პაპავამ.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 28
წინააღმდეგი: 2

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო ლევან გორდეზიანმა.

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2016 წლის ბიუჯეტი (დანართი 3)

2. იურიდიული დეპარტამენტის უფროსმა, ბატონმა არჩილ კუკულავამ წარმოადგინა სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მფლობელობაში არსებული უძრავი ქონების ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ დროებით სარგებლობაში გაცემაზე თანხმობის საკითხი. მისი განმარტებით, საუბარია პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის ტერიტორიაზე (ქ. თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. #31) არსებულ ფართზე, რომელსაც სამეცნიერო დანიშნულება არ გააჩნია.

პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის დირექტორმა, ბატონმა ვლადიმერ ციციშვილმა წარმომადგენლობით საბჭოს მოახსენა, რომ აღნიშნული შენობა უფუნქციოა და მასში განთავსებულია ჩამოწერილი ქიმიური ნივთიერებები და ვადაგასული, გაუვარგისებული ქიმიური რეაქტივები, რომლებიც უნდა განადგურდეს. შენობის მიმდებარე ფართი კი მოითხოვს დასუფთავებასა და სპეციალურ დამუშავებას. ინსტიტუტს ამის რესურსი არ გააჩნია. შენობის იჯარით გაცემის შემთხვევაში კი მოიჯარეს დაევალება ტერიტორიის დასუფთავებაც. ინსტიტუტი თანახმაა, ქონება გაიცეს იჯარის წესით.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 29
წინააღმდეგი: 1

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო ლევან ლორთქიფანიძემ.

მიღებული გადაწყვეტილება: გაიცეს თანხმობა ქ. თბილისში, ა. პოლიტკოვსკაიას ქ. 31-ში მდებარე 30110 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი - №01.14.06.006.043) ნაწილის, კერძოდ 1436 კვ.მ. ფართობის და მასზე მდგომი #5 შენობა-ნაგებობის (საერთო ფართობით 284.04 კვ.მ.) დროებით, იჯარის წესით გაცემის თაობაზე.

3. ბატონმა ვახტანგ ჭარაიამ წარმომადგენლობით საბჭოს გააცნო „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიისა და ბიზნეს ინკუბატორის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2015 წლის 28 დეკემბრის №135/2015 დადგენილება. მისი განმარტებით, სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორია და ბიზნეს ინკუბატორი - ე.წ. „ფაბლაბი“ ყველა წამყვან უნივერსიტეტს აქვს და მისი მიზანია, ხელი შეუწყოს სტუდენტებს, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით უფრო აქტიურად ჩაერთონ აკადემიურ პროცესში და განავითარონ საკუთარ უნარ-ჩვევები. მსგავსი ცენტრების არსებობა ბიზნესის წარმოებასა და განვითარებაში უდიდეს როლს ასრულებს. ლაბორატორიის შექმნის ინიციატორი უნივერსიტეტი და ქ. თბილისის მერია იყო. მერიამ ნახევარი მილიონი დოლარის ღირებულების ტექნოლოგია მიაწოდა უნივერსიტეტს, რომელმაც ლაბორატორიისთვის შესაბამისი სივრცე გამოყო და მოაწყო.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი, ბატონი ლევან გორდეზიანი დაინტერესდა, თუ რა დაუჯდება უნივერსიტეტს მსგავსი ცენტრის შენახვა, რაზეც ბატონმა ვახტანგ ჭარაიამ განაცხადა, რომ უნივერსიტეტი დააფინანსებს მხოლოდ რამდენიმე თანამშრომლის ხელფასს, დანარჩენი თანამშრომლების ფინანსურ უზრუნველყოფას ქ. თბილისის მერია განახორციელებს.

რექტორმა, ბატონმა ვლადიმერ პაპავამ აღნიშნა, რომ მსგავსი ლაბორატორიის არსებობა უნივერსიტეტში ნამდვილად დიდი მნიშვნელობისაა და თუმცა იგი შედარებით მცირე მასშტაბისაა, წამყვან უნივერსიტეტებში არსებული მსგავსი ლაბორატორიების ზუსტ ანალოგიას წარმოადგენს.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 30
წინააღმდეგი: 1

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიისა და ბიზნეს ინკუბატორის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2015 წლის 28 დეკემბრის №135/2015 დადგენილება. (დანართი 4)

4. რექტორმა, ბატონმა ვლადიმერ პაპავამ წარმომადგენლობით საბჭოს გააცნო სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებლის მოწყობის მიზნით სამუშაოების დაგეგმვის დროებით სამუშაო ჯგუფში წარმომადგენლების შერჩევის საკითხი და განაცხადა, რომ უნივერსიტეტის მე-11 კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე, ხიმინჯებისა და ბიბლიოთეკასთან არსებული სივრცის ათვისება იგეგმება, რაზეც წარმომადგენლობით საბჭოზე უკვე ორჯერ იყო საუბარი. ამ ტერიტორიაზე უნდა მოეწყოს საერთო საცხოვრებელი. რა თქმა უნდა, უნივერსიტეტს ამისთვის აუცილებელი სახსრები არ გააჩნია, შესაბამისად, საჭიროა ინვესტორების მოზიდვა. ამ მიზნით შეიქმნება სპეციალური ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში უმრავლესობა წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები იქნებიან და სწორედ ამ წევრთა შერჩევა არის საჭირო.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა დაასახელეს ირაკლი კუპრაძის, ბეჟან თუთბერიძის, მანანა ხაჩიძის, ნუგზარ თოდუასა და პაატა ბახტურიძის კანდიდატურები.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 31
წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: საერთო საცხოვრებლის მოწყობის მიზნით სამუშაოების დაგეგმვის დროებით სამუშაო ჯგუფში წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებიდან შერჩეულ იქნენ შემდეგი პირები: ირაკლი კუპრაძე, ბეჟან თუთბერიძე, მანანა ხაჩიძე, ნუგზარ თოდუა და პაატა ბახტურიძე.

5. იურიდიული დეპარტამენტის უფროსმა, ბატონმა არჩილ კუკულავამ წარმოადგინა სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მე-8 სასწავლო კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე კომუნიკაციის მოწყობა-რეგისტრაციის მიზნით გათხრითი სამუშაოების საწარმოებლად თანხმობის გაცემის საკითხი. მისი

განმარტებით კომპანია „სილქნეტი“ აწარმოებს სამუშაოებს უნივერსიტეტის მე-8 კორპუსის მიმდებარედ, თუმცა სამუშაოების სპეციფიკის გათვალისწინებით აუცილებელია სამუშაოებში უნივერსიტეტის ტერიტორიის მცირე ნაწილის ჩართვაც, რაზეც თანხმობა წარმომადგენლობითმა საბჭომ უნდა გასცეს.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 31
წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: გაიცეს თანხმობა სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მე-8 სასწავლო კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე კომუნიკაციის მოწყობა-რეგისტრაციის მიზნით გათხრითი სამუშაოების წარმოებაზე.

6. იურიდიული დეპარტამენტის უფროსმა, ბატონმა არჩილ კუკულავამ სსიპ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს გააცნო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერისტეტის ქონების დროებით იჯარის წესით გაცემის საკითხი. მისი განმარტებით, უნივერსიტეტის მე-2 კორპუსის ნულოვან სართულზე შესაძლებელია მოეწყოს ქსეროქსის გადაღების ცენტრი, რომელიც დიდად დაეხმარება სტუდენტებს და მათ არ მოუწევთ კორპუსიდან გასვლა მსგავსი მომსახურების მისაღებად. ასევე, უნივერსიტეტის მე-6 სასწავლო კორპუსის პირველი სართულის ფოიეში, მე-8 სასწავლო კორპუსის პირველის სართულის კიბის უჯრედზე, ქ. წამებულის გამზ. №55-ში მდებარე შენობის მე-2 სართული ფოიესა და ბიბლიოთეკის მე-4 სართულის ფოიეში შესაძლებელია ვენდინგის აპარატების განთავსება.

საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა, ბატონებმა - ირაკლი კუპრაძემ, ზურაბ გაიპარაშვილმა, ბახვა კვირიკაშვილმა და შალვა საბაურმა, ასევე, ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, ბატონმა დავით ჩომახიძემ.

6.1. პირველად კენჭისყრაზე გატანილ იქნა ქსეროქსის გადაღების ცენტრის მოწყობის მიზნით ქონების იჯარით გაცემის საკითხი.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 31
წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: გაიცეს თანხმობა ქსეროქსის გადაღების ცენტრის ფუნქციონირების მიზნით უნივერსიტეტის მე-2 სასწავლო კორპუსის ნულოვან სართულზე მდებარე 17 კვ.მ. ფართის (5 კვ.მ. ფართის ოთახი და 12 კვ.მ. ფართი ფოიეს ნაწილი) იჯარის ფორმით 5 წლის ვადით გაცემის თაობაზე.

6.2. შემდეგ კენჭისყრაზე გავიდა ვენდინგის აპარატებისთვის საჭირო ფართის იჯარით გაცემის საკითხი.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 31
წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: გაიცეს თანხმობა ვენდინგის (ელ. ვაჭრობის, მათ შორის ყავისა და სხვა ცხელი უალკოჰოლო სასმელების) აპარატების განთავსების მიზნით შემდეგი ქონების 5 წლის ვადით იჯარის ფორმით გაცემაზე: 1. ი. ჭავჭავაძის გამზ. N8 - მე-6 სასწავლო კორპუსის პირველი სართულის ფოიეში არსებული 2 კვ.მ.; 2. ი. ჭავჭავაძის გამზ. N13 - მე-8 სასწავლო კორპუსის პირველი სართულის კიბის უჯრედში არსებული 2 კვ.მ..; 3. ქ. წამებულის გამზირი N55-ში მე-2 სართულის ფოიეში არსებული 2 კვ.მ.; 4. უნივერსიტეტის ქ. 11 - ბიბლიოთეკის მეოთხე სართულის ფოიეში არსებული 2 კვ.მ.

7. იურიდიული დეპარტამენტის უფროსმა, ბატონმა არჩილ კუკულავამ წარმოადგინა ,,სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ" აკადემიური საბჭოს 2014 წლის 22 დეკემბრის №118/2014 დადგენილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2015 წლის 28 დეკემბრის №134/2015 დადგენილება. მისი განმარტებით, აკადემიური საბჭოს 2014 წლის 22 დეკემბრის №118/2014 დადგენილებაში გაპარულია ტექნიკური შეცდომა, ასისტენტის უფლებამოსილების ვადად მითითებულია 3 წელი, როდესაც უნივერსიტეტის წესდება განსაზღვრავს 4 წელს. ცვლილების მიზანია, დადგენილება წესდებასთან შესაბამისობაში მოვიდეს.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა:

მომხრე: 31
წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს ,,სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ" აკადემიური საბჭოს 2014 წლის 22 დეკემბრის №118/2014 დადგენილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2015 წლის 28 დეკემბრის №134/2015 დადგენილება (დანართი 5)

8. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა, ბატონმა ლევან გორდეზიანმა წარმომადგენლობით საბჭოს წევრებს მიმართა და აღნიშნა, რომ „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონში შევიდა ცვლილებები, რომლებიც უნდა აისახოს უნივერსიტეტის წესდებაში. კარგი იქნება, თუკი შეიქმნება დროებითი სამუშაო ჯგუფი, რომელიც იმსჯელებს და მოამზადებს წესდების ცვლილებებს.

იურიდიული დეპარტამენტის უფროსმა, ბატონმა არჩილ კუკულავამ განაცხადა, რომ შესაძლებელია წარმომადგენლობითი საბჭოს ფარგლებში მსგავსი ჯგუფის შექმნა, უბრალოდ აუცილებელია წინასწარ მოხდეს სამუშაო პრინციპებსა და წევრთა კანდიდატურებზე შეჯერება.

ინიციატივას მიესალმა რექტორი, ბატონი ვლადიმერ პაპავა და განაცხადა, რომ სენატის წევრებისგან პარიტეტის პრინციპით შეიძლება დაკომპლექტდეს ჯგუფი, რომელშიც ყველა ფაკულტეტიდან შევა წარმომადგენელი.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა, ქალბატონმა მანანა შამილიშვილმა განაცხადა, რომ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოზე შესაბამისმა მიმართულებამ გაიტანა ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამა, რომელიც საბჭომ მოიწონა. პროგრამას არ ჰყავს ერთი ხელმძღვანელი და მისი ხელმძღვანელობა კოლექტიურად ხორციელდება. სამწუხაროდ, ფაკულტეტის საბჭოს მიერ მიღებული პროგრამის დამტკიცებისგან აკადემიურმა საბჭომ ორჯერ შეიკავა თავი. ჩნდება ეჭვი, რომ პროგრამის ყოფილი ხელმძღვანელი, ქალბატონი მარიამ გერსამია იყენებს აკადემიური საბჭოს წევრის სტატუსს და აფერხებს მის დამტკიცებას.

რექტორმა, ბატონმა ვლადიმერ პაპავამ აღნიშნა, რომ ჟურნალისტიკის პროგრამა უკვე დაამტკიცა აკადემიურმა საბჭომ და ცუდია, რომ ამის თაობაზე უახლესი ინფორმაცია არ მიეწოდა ფაკულტეტსა და დაინტერესებულ პირებს. უფრო მეტიც, პროგრამა დამტკიცდა

ერთხმად, მას მხარი დაუჭირა თავად ქალბატონმა მარიამ გერსამიამაც, თუმცა მისივე ინიციატივით, ოქმში ჩაიწერა, რომ სასურველი იქნება, ფაკულტეტის საბჭომ იმსჯელოს პროგრამის ხელმძღვანელად ერთი პირის ან რამდენიმე თანახელმძღვანელის დანიშვნასთან დაკავშირებით. თუმცა ჟურნალისტიკის პროგრამა უკვე დამტკიცებულია და აღნიშნული ჩანაწერი აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმში მხოლოდ რეკომენდაციაა, რომლის გათვალისწინებაც ფაკულტეტის საბჭოს გადასაწყვეტია.

საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებმა, ბატონებმა ლევან ლორთქიფანიძემ, ირაკლი კუპრაძემ და შალვა საბაურმა, ასევე, ქალბატონმა მარი წერეთელმა.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა, ბატონმა ელგუჯა მექვაბიშვილმა მადლობა გადაუხადა უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბატონ დავით ჩომახიძეს და აღნიშნა, რომ მისი საქმიანობის 5 წლის განმავლობაში უნივერსიტეტში ბევრი სასიკეთო რამ გაკეთდა, რაც დასაფასებელია. წარმომადგნელობითი საბჭოს წევრმა, ბატონმა არნოლდ გეგეჭკორმა განაცხადა, რომ ბატონი დავით ჩომახიძის საქმიანობა ნამდვილად გამორჩეული იყო, მადლობა გადაუხადა მას და წარმატებები უსურვა. ბატონმა დავით ჩომახიძემ მადლობა გადაუხადა წარმომადგენლობით საბჭოსა და ყველა ადამიანს, რომელიც უნივერსიტეტის წარმატებისა და წინსვლისთვის მასთან ერთად შრომობდა.

საკითხებთან დაკავშირებით კენჭისყრა არ გამართულა.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი: კახაბერ ლორია

წარმომადგენლობითი საბჭოს მდივანი: დიმიტრი გეგენავა

დანართი 1

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომა

2015 წლის 30 დეკემბერი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

პროფესორები:

- შაბურიშვილი შოთა
- თოდუა ნუგზარი
- მექვაბიშვილი ელგუჯა
- აბესაძე ნინო

სტუდენტები:

- სოსიაშვილი თათია
- გოდერძიშვილი ლია
- ბერუაშვილი ანზორი

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

- გოგინავა უშანგი

- ხომერიკი რამაზი
- თუთბერიძე ბეჟანი
- მაჭავარიანი ლია
- გეგეჭკორი არნოლდი
- ხაჩიძე მანანა

სტუდენტები:

- ბექაური ბექა
- ბახტურიძე პაატა

იურიდიული ფაკულტეტი

პროფესორები:

- თუმანიშვილი გიორგი
- ცისკაძე მარიამი
- თოდუა ნონა

სტუდენტები:

- კვირიკაშვილი ბახვა
- კუპრაძე ირაკლი

მედიცინის ფაკულტეტი

პროფესორები:

- იმნაძე პაატა
- მარგველაშვილი ვლადიმერი
- ოკრიბელაშვილი ნინო

სტუდენტები:

- გიორგაძე გიორგი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

- წერეთელი მარი
- შამილიშვილი მანანა

სტუდენტები:

- ლორთქიფანიძე ლევანი
- საბაური შალვა

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

- ჟვანია ირინე

- ჩახუნაშვილი ნინო

სტუდენტები:

- დადეშქელიანი ბექა

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

- ლორია კახაბერი
- გორდეზიანი ლევანი
- გელოვანი ნანი
- თაბუაშვილი აპოლონი
- ბრაჭული ირაკლი
- ოთხმეზური გიორგი
- პაიჭაძე თამარი

სტუდენტები:

- ჯეგბაშვილი ნანა
- მინდიაშვილი თეონა
- სამხარაძე ლაშა

თსუ–ს ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი

- გაიპარაშვილი ზურაბი

დანართი 2

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე დამსწრე აკადემიური საბჭოს წევრების სია

2015 წლის 30 დეკემბერი

- პაპავა ვლადიმერი (რექტორი)
- გაფრინდაშვილი ნანი
- ქურდაძე რამაზი
- გოგსაძე გიორგი
- გერსამია მარიამი
- ცერცვაძე თენგიზი
- გალდავა გიორგი
- კოპალეიშვილი მაია
- სურგულაძე ნუგზარი
- სამსონია შოთა
- ომანაძე როლანდი
- სილაგაძე ავთანდილი
- მარშავა ქეთევანი
- ჭკუასელი ქეთევანი
- აბაშიძე თამარი

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2016 წლის ბიუჯეტი

დასახელება	ლარი
● ნაშთი	**12435860**
მათ შორის: ნაშთი (სწავლის ქირის, სასწავლო გრანტის, პროგრამული და მიზნობრივი დაფინანსების და კანონმდებლობით ნებადართული სხვა საქმიანობიდან)	7207827
მათ შორის: ნაშთი (ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტების)	770000
მათ შორის: ნაშთი (საერთაშორისო გრანტების)	1326657
მათ შორის : ნაშთი სახელმწიფო ბიუჯეტიდან–საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარება	3131376
● შემოსავლები	71164094
მათ შორის: ეკონომიკური საქმიანობიდან (სწავლის ქირა, სასწავლო გრანტი, პროგრამული და მიზნობრივი დაფინანსება და კანონმდებლობით ნებადართული სხვა საქმიანობიდან)	48153500
მათ შორის: საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან	157000
მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტიდან (სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტები და ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა)	12091060
მათ შორის :სახელმწიფო ბიუჯეტიდან (სახელმწიფო სტიპენდია)	1072500
მათ შორის : სახელმწიფო ბიუჯეტიდან–საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და მოდულური პროგრამების განსახორციელებლად.	3082734
მათ შორის:ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტებიდან	4346000
მათ შორის:საერთაშორისო გრანტებიდან	2261300
სულ შემოსავალი ნაშთის ჩათვლით	**83599954**
გადასახდელები ნაერთი	**ლარი**
სულ ასიგნება	**83580554**
I ხარჯები	**74661866**
● შრომის ანაზღაურება	**37118150**
● საქონელი და მომსახურება	**30426457**
● სუბსიდიები	**2367150**
● გრანტები	**50000**
●სოციალური უზრუნველყოფა	**120000**
● სხვა ხარჯები	**4580109**
II არაფინანსური აქტივების ზრდა	**8838688**
● ვალდებულებების კლება	**80000**
<u>ნაშთი პერიოდის ბოლოს</u>	**19400**
მათ შორის: სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი პროგრამის ფარგლებში,სწავლის საფასურისა და კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლებით გაწეული ხარჯები	
სულ ასიგნება	**55491927**
I ხარჯები	**54480927**
● შრომის ანაზღაურება	**28306460**
● საქონელი და მომსახურება	**23374747**

●გრანტები	**50000**
●სოციალური უზრუნველყოფა	**120000**
● სხვა ხარჯები	**2629720**
II არაფინანსური აქტივების ზრდა	**931000**
● ვალდებულებების კლება	**80000**
მათ შორის:სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობის ფარგლებში, შემოერთებული სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების და ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის გაწეული ხარჯები	
სულ ასიგნება	**12091060**
I ხარჯები	**10903660**
● შრომის ანაზღაურება	**8811690**
● საქონელი და მომსახურება	**2057710**
● სხვა ხარჯები	**34260**
II არაფინანსური აქტივების ზრდა	**1187400**
მათ შორის:სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსების ,,სახელმწიფო სტიპენდია სტუდენტებს''ფარგლებში გაწეული ხარჯები	
სულ ასიგნება	**1079500**
I ხარჯები	**1079500**
● სხვა ხარჯები	**1079500**
მათ შორის:სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიზნობრივი დაფინანსება-1.,,საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და მოდულური პროგრამების განსახორციელებლად''ფარგლებში გაწეული ხარჯები	
სულ ასიგნება **(II)**	**6214110**
I ხარჯები	**137316**
● სუბსიდიები	**137316**
II არაფინანსური აქტივების ზრდა	**6076794**
მათ შორის: ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტების ფარგლებში გაწეული ხარჯები	
სულ ასიგნება	**5116000**
I ხარჯები	**4994000**
● საქონელი და მომსახურება	**4994000**
II არაფინანსური აქტივების ზრდა	**122000**
მათ შორის: საერთაშორისო გრანტების ფარგლებში გაწეული ხარჯები	
სულ ასიგნება **(I+II)**	**3587957**
I ხარჯები	**3066463**
● სუბსიდიები	**2229834**
● სხვა ხარჯები	**836629**
II არაფინანსური აქტივების ზრდა	**521494**

დადგენილება № 135/2015
28 დეკემბერი 2015

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიისა და ბიზნეს ინკუბატორის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის “უ“ და „ღ“ ქვეპუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 14 ივლისის №73/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ჩ“ და „წ“ ქვეპუნქტებისა და №49199/02, 28.12.2015 წერილის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შეიქმნას საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეული - სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორია და ბიზნეს ინკუბატორი.
2. დამტკიცდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიისა და ბიზნეს ინკუბატორის დებულება (დანართი №1).
3. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.
4. დადგენილების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტს.
5. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6).
6. დადგენილება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

რექტორი, პროფესორი **აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა**
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

დანართი №1

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიისა და ბიზნეს ინკუბატორის დ ე ბ უ ლ ე ბ ა

პრეამბულა

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორია და ბიზნეს ინკუბატორი იქმნება ქ. თბილისის მერიის (სსიპ - ტექნოლოგიური განვითარების ფონდის სახით), სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოსა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი ინიციატივით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სსიპ - ტექნოლოგიური განვითარების ფონდის მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური რესურსების გაერთიანებით.

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში –,,უნივერსიტეტი" ან ,,თსუ") ინოვაციების ლაბორატორია და ბიზნეს ინკუბატორი (შემდგომში - ,,ლაბორატორია და ინკუბატორი") წარმოადგენს უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულს.
2. ლაბორატორია და ინკუბატორი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებითა და წინამდებარე დებულებით.
3. ლაბორატორია და ინკუბატორი თავისი კომპეტენციის ფარგლებში ასრულებს უნივერსიტეტის რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ კანონმდებლობის საფუძველზე დაკისრებულ მოვალეობებს და ანგარიშვალდებულია მათ წინაშე.

მუხლი 2. ლაბორატორიისა და ინკუბატორის მიზნები და ფუნქციები

1. ლაბორატორიისა და ინკუბატორის მიზანია:

ა) ქვეყანაში ინოვაციური ბიზნეს იდეებისა და პროექტების განვითარება;
ბ) თსუ სტუდენტებისა და ფართო მომხმარებლის დაინტერესება ახალი, ინოვაციური ბიზნეს იდეების შექმნისა და რეალიზების მიზნით, მათ შორის ტექნიკური მოწყობილობებისა და სხვადასხვა ექსპერიმენტების განხორციელების მეშვეობით;
გ) თსუ სტუდენტებისა და ფართო მომხმარებლის გათვითცნობიერება სასურველი პროდუქციის შექმნის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების თანამედროვე მექანიზმებში.
2. ლაბორატორიისა და ინკუბატორის ფუნქციებია:
ა) თსუ სტუდენტებისა და ფართო მომხმარებლისათვის საკუთარი ინოვაციური ბიზნეს იდეების განხორციელების ხელშეწყობა;
ბ) შესაბამისი ინოვაციური პროექტის ფარგლებში, არსებული ტექნიკური მოწყობილობების საშუალებით სხვადასხვა ექსპერიმენტების განხორციელება;
გ) თსუ სტუდენტებისა და ფართო მომხმარებელის მიერ სასურველი პროდუქციის შექმნის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებაში ხელშეწყობა;
დ) თსუ სტუდენტებისა და ფართო მომხმარებელის მიერ ლაბორატორიასა და ინკუბატორში საკუთარი იდეების განხილვის უზრუნველყოფა;
ე) თსუ სტუდენტებისა და ფართო მომხმარებელის მიერ საკუთარი ბიზნეს მოდელების შექმნის მიზნით საკითხის ტექნიკურ, მარკეტინგული სტრატეგიისა და ფინანსური მენეჯმენტის სფეროებში ანალიზის უზრუნველყოფა;
ვ) თსუ სტუდენტებისა და ფართო მომხმარებელისათვის ბიზნეს მოდელების შექმნისა და მათი განხილვის უზრუნველყოფა;
ზ) თსუ სტუდენტებისა და ფართო მომხმარებელის:
ზ.ა) ტექნიკური კონსულტაცია და დახმარება;
ზ.ბ) ბიზნეს, მარკეტინგული, ფინანსური და იურიდიული კონსულტაცია;
ზ.გ) ბიზნეს მოდელების ჩამოყალიბება და დახვეწა;
ზ.დ) შეხვედრები ბიზნეს სექტორთან პროდუქტის განვითარების შემდგომ საფეხურზე გადასაყვანად;
ზ.ე) რეგულარული „ჰაკათონები“ და შეჯიბრებები საუკეთესო პროდუქტების გამოსავლენად;
ზ.ვ) მაქსიმალური ტექნიკური მხარდაჭერა სასურველი პროდუქციის დასამზადებლად.

მუხლი 3. ლაბორატორიისა და ინკუბატორის სტრუქტურა და ხელმძღვანელობა

1. ლაბორატორიასა და ინკუბატორს შიდა სტრუქტურული ერთეულები არ გააჩნია.

2. ლაბორატორიასა და ინკუბატორს ხელმძღვანელობს კოლეგია, რომლის შემადგენლობაში შედის კოლეგიის ხელმძღვანელი (ლაბორატორიისა და ინკუბატორის ხელმძღვანელი) და კოლეგიის წევრები.
3. კოლეგია შედგება 8 წევრისგან და მის შემადგენლობაში შედის უნივერსიტეტის 5 და სსიპ - ტექნოლოგიური განვითარების ფონდის 3 წარმომადგენელი.
4. კოლეგია უფლებამოსილია თუ მის სხდომას ესწრება სიითი შემადგენლობის უმრავლესობა. კოლეგია გადაწყვეტილებას იღებს ღია კენჭისყრით და გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება თუ მას ხმა მისცა დამსწრე წევრთა არანაკლებ ნახევარზე მეტმა. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია კოლეგიის ხელმძღვანელის ხმა. კოლეგიის სხდომები აისახება ოქმებში, ხოლო მისი გადაწყვეტილება ფორმდება კოლეგიის ხელმძღვანელის ბრძანების სახით.
5. კოლეგია თავისი შემადგენლობიდან უმრავლესობით ირჩევს კოლეგიის ხელმძღვანელს, რომელსაც კოლეგიის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და კოლეგიის წარდგინებით ან მის გარეშე, კანონმდებლობით დადგენილი წესით თანამდებობიდან ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი.
6. ლაბორატორიისა და ინკუბატორის სხვა თანამშრომლებს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ცენტრის უფროსის წარდგინებით.
7. ლაბორატორიისა და ინკუბატორისათვის განსაზღვრული თანამდებობებია – კოლეგიის ხელმძღვანელი (ლაბორატორიისა და ინკუბატორის ხელმძღვანელი), მენეჯერი, მენეჯერის თანაშემწე, დიზაინერი, ტექნიკოსი, კონსულტანტი, ტექნიკური ასისტენტი.
8. ლაბორატორიისა და ინკუბატორისათვის განსაზღვრული თანამდებობები - კოლეგიის ხელმძღვანელი (ლაბორატორიისა და ინკუბატორის ხელმძღვანელი), დიზაინერი, ტექნიკოსი, კონსულტანტი წარმოადგენს უნივერსიტეტის საშტატო განრიგით განსაზღვრულ თანამდებობებს და ფინანსდება უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან, ხოლო ლაბორატორიისა და ინკუბატორში არსებული დანარჩენი თანამდებობები უნივერსიტეტის მიერ არაანაზღაურებადი თანამდებობებია და შესაძლებელია ფინანსდებოდეს სსიპ - ტექნოლოგიური განვითარების ფონდის მიერ.
9. ლაბორატორიისა და ინკუბატორის იმ თანამდებობებზე, რომლებიც წარმოადგენს უნივერსიტეტის საშტატო განრიგით განსაზღვრულ თანამდებობებს კონკრეტულ პირთა დანიშვნისა თუ გათავისუფლების საკითხების გადაწყვეტისათვის იქმნება ლაბორატორიისა და ინკუბატორის საბჭო. საბჭოში წევრის სტატუსით შედიან ა(ა)იპ ,,თსუ ანალიზისა და პროგნოზირების ცენტრის“ სამი წარმომადგენელი, თსუ სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის უფროსი, თსუ პერსონალის მართვის დეპარტამენტის უფროსი.

საბჭო უფლებამოსილია თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი მაინც. საბჭო თავისი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს, ღია კენჭისყრით, დამსწრე წევრთა უმრავლესობით. საბჭო გადაწყვეტილებებს იღებს დამსწრე წევრთა უმრავლესობით, ხმათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია საბჭოს თავმჯდომარის ხმა.

10. ლაბორატორიისა და ინკუბატორის კოლეგია:

ა) წარმართავს ლაბორატორიისა და ინკუბატორის მუშაობას, უზრუნველყოფს შრომის აუცილებელი პირობების შექმნას, იღებს ზომებს თანამშრომელთა პროფესიული მომზადების დონის ასამაღლებლად;

ბ) განსაზღვრავს ლაბორატორიისა და ინკუბატორის საქმიანობის პრიორიტეტებს და პასუხისმგებელია მათ განხორციელებაზე;

გ) ანაწილებს მოვალეობებს ცენტრის თანამშრომლებს შორის, აძლევს მათ მითითებებსა და დავალებებს;

დ) იხილავს ამ სტრუქტურული ერთეულის მიერ მომზადებულ დოკუმენტებს;

ე) დადგენილი წესის მიხედვით იხილავს კორესპონდენციებს და თავისი კომპენტენციის ფარგლებში იღებს გადაწყვეტილებებს;

ვ) ზედამხედველობს ლაბორატორიისა და ინკუბატორის თანამშრომლების მიერ თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობების ჯეროვან შესრულებას, ახორციელებს მათ მიერ უნივერსიტეტის შინაგანაწესის შესრულების კონტროლს;

ზ) კოლეგიის ხელმძღვანელის სახით წარმოადგენს ლაბორატორიასა და ინკუბატორს დაკისრებული უფლება-მოვალეობების განხორციელებისას და პასუხისმგებელია ამ სტრუქტურულ ერთეულზე დაკისრებული მიზნებისა და ფუნქციების შესრულებაზე;

თ) ორგანიზებას უწევს ამ დებულებით ლაბორატორიისა და ინკუბატორისათვის დაკისრებული ფუნქციების შესრულებას, რისთვისაც წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წინადადებებს ცალკეული საკითხების მოწესრიგებისა და გადაწყვეტის მიზნით;

ი) წარუდგენს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წინადადებებს შტატების (თავისი კომპეტენციის ფარგლებში საბჭოს რეკომენდაციით), მუშაობის ორგანიზაციის, ცენტრის თანამშრომლების წახალისების ან დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ;

კ) შუამდგომლობს იმ სახსრების, მოწყობილობებისა და ინვენტარის გამოყოფაზე, რაც აუცილებელია ლაბორატორიისა და ინკუბატორის წინაშე მდგარი ფუნქციებისა და ამოცანების შესასრულებლად;

ლ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში, კოლეგიის ხელმძღვანელის სახით წარმოადგენს ცენტრს მესამე პირებთან ურთიერთობაში;

მ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებითა და წინამდებარე დებულებით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებსა და მოვალეობებს.

მუხლი 4. ლაბორატორიისა და ინკუბატორის ქონება

თავის ფუნქციათა განსახორციელებლად ლაბორატორია და ინკუბატორი სარგებლობს უნივერსიტეტისა და უნივერსიტეტისათვის ამ სტრუქტურული ერთეულის ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად სსიპ - ტექნოლოგიური განვითარების ფონდის მიერ დროებით სარგებლობაში გადმოცემული ქონებით.

მუხლი 5. ლაბორატორიისა და ინკუბატორის ფინანსები

ლაბორატორიისა და ინკუბატორის დაფინანსების წყაროებია:

ა) სსიპ - ტექნოლოგიური განვითარების ფონდის მიერ მიზნობრივად გამოყოფილი დაფინანსება;

ბ) გრანტებისა და პროექტების საფუძველზე მიღებული შემოსავლები;

გ) მომსახურების გაწევის შედეგად მიღებული შემოსავლები;

დ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიზნობრივად ლაბორატორიისა და ინკუბატორისათვის განკუთვნილი საჩუქრის სახით მიღებული შემოსავლები;

ე) კანონმდებლობით აუკრძალავი ნებისმიერი შემოსავლები.

მუხლი 6. ლაბორატორიისა და ინკუბატორის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

ლაბორატორიისა და ინკუბატორის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, უნივერსიტეტის მიერ ამ სტრუქტურული ერთეულის ფუნქციონირების მიზნით გაფორმებული წერილობითი გარიგებების მოთხოვნათა დათვალისწინებით.

მუხლი 7. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

დადგენილება №134/2015
28 დეკემბერი 2015

„სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ" აკადემიური საბჭოს 2014 წლის 22 დეკემბრის №118/2014 დადგენილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი, მეორე და მესამე ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 59-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „პ" ქვეპუნქტის, 29-ე მუხლის მე-4 პუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 14 ივლისის №73/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „რ" ქვეპუნქტისა და თსუ-ს იურიდიული დეპარტამენტის 17.12.2015, №46782/02 წერილის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ" აკადემიური საბჭოს 2014 წლის 22 დეკემბრის №118/2014 დადგენილების პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტით დამტკიცებულ №1 დანართში და დანართის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. უნივერსიტეტში ასისტენტის აკადემიურ თანამდებობაზე 4 (ოთხი) წლის ვადით შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორანტი."

2. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.
3. დადგენილების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას.
4. დადგენილების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტს.

5. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6).
6. წინამდებარე დადგენილება ძალაში შედის საჯაროდ გამოცხადებისთანავე.

რექტორი, პროფესორი **აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა**
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე